სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/348

ქ. თბილისი

21 დეკემბერი 2018

სტუ-ის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. გ. ქვარცხავას 2018 წლის 21 დეკემბრის №01-09-33/8008 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის № 01-05-02/27 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს კონკურსი აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე 0,5 განაკვეთზე (250 სთ), საგანთა ჯგუფი- ელექტროტექნიკა და ელექტროტექნიკის საფუძვლები (საგანმანათლებლო პროგრამა - სასურსათო ტექნოლოგია, აგროინჟინერია.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე